გაზეთის ფასი

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 2 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის სტამბისა, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888


7 ს ივლისს, ხუთშაბათს, კნეინა ნინა ალექსანდრეს ასულის ჯამბაკურიან-ორბელიანის აღსრულების წლის დღეს სიონის საბოროში ცხრა საათზედ დილით გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი.

ტფილისი, 5 ივლისი

ამ უკანასკნელს ხანებში ორი მეტად საყურადღებო განკარგულება გამოსცა მმართებლობამ. ერთი იმათგანი ეხება მოსამზადებელ კლასებსა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში და მეორეც იმ ცვლილებას, რომელიც უნდა შემოიღონ დღევანდელს რეალურს სასწავლებლებში. როდესაც პირველად ამბავი მოვიდა, რომ საერო განათლების სამინისტრომ გადასწყვიტა მოსამზადებელის კლასების გაუქმება გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებშიო, ჩვენს საზოგადოებასა და ცოტაოდნად მწერლობაშიაც ლაპარაკი და ბაასი ასტყდა ამ ამბის შესახებ. თავი და თავი აზრი, რომელიც საზოგადოებასა და მწერლობაში ტრიალებდა, ის იყო, რომ მოსამზადებელი კლასები განსაკუთრებით საჭირო არის ჩვენისთანა ხელ-მოკლე საზოგადოებისათვის და რომ ჩვენ არ ძალ-გვიძს ჩვენი შვილები ისე მოვამზადოთ, რომ გიმნაზიის პირველს კლასებში მივაღებინოთ, თუ მოსამზადებელი კლასები არ გვექნება. ამიტომაც ზოგიერთმა საჭიროდ დაინახა, რომ ქალაქები და საზოგადოება დაეხმაროს მთავრობას, იკისროს ხარჯი და ამ ნაირად მოსამზადებელი კლასები არ გააუქმებინოსო. იგივე აზრი ტრიალებდა თითქმის მთელს რუსეთში და მმართებლობამ, განიხილა რა საზოგადოების თხოვნა და აზრი, შესცვალა საერო განათლების სამინისტროს პირვანდელი განკარგულება და გამოსცა ახალი, რომლის შინაარსი ამას წინად შევატყობინეთ ჩვენს მკითხველებს. ამ ახალის განკარგულების ძალით, კავკასიაში, ვითარცა განაპირა ქვეყანაში, რომლის მკვიდრთა უმეტესობა რუსის ტომისა არ არის, მოსამზადებელი კლასები უნდა დარჩეს და იმათი ხარჯი და შენახვა თვით მთავრობამ უნდა იკისროს. რასაკვირველია, ამ ამბავს ჩვენი საზოგადოება დიდის სიხარულითა და სიამოვნებით მიეგებება.

როცა პირველად მოვიდა ამბავი, რომ მთავრობამ მოსამზადებელი კლასები უნდა გააუქმოსო, მაშინ საზოგადოებასა და მწერლობაში დიდი ლაპარაკი იყო იმაზედ, თუ რა ემველება ჩვენს შვილებს, რომელთაც მოსამზადებელ კლასების გაუქმების შემდეგ საშუალება ესპობათ შესაფერი სწავლა-განათლება მიიღონო. ამიტომ ასტყდა ლაპარაკი იმაზე, თუ რა ღონე ვიღონოთ, რომ ბავშვები უსწავლელნი და უწვრთნელნი არ დაგვრჩნენო. მთელმა საზოგადოებამ და მწერლობამ მიჰმართა ჩვენს სათავად-აზნაურო სკოლებს და დაადგა იმ აზრს, რომ დროთა მოთხოვნილებისამებრ ეს სკოლები ისე უნდა გადავაკეთოთ, რომ ყმაწვილებს იმათის შემწეობით შეეძლოსთ უმაღლესი სწავლა მიიღონო. ზოგი ამბობდა, რომ სათავად-აზნაურო სკოლები კლასიკურ გიმნაზიებად უნდა გარდავქმნათო, ზოგი-კი იმ აზრისა იყო, რომ სამეურნეო სკოლებად ვაქციოთ და ზოგნი რეალურ სასწავლებლებად გადაკეთებას რჩეობდნენ. ლაპარაკი ბევრი იყო, მაგრამ დღემდის ამ ლაპარაკს არავითარი ნაყოფი არ გამოუსხამს და სათავად-აზნაურო სკოლები იმავე ყოფაში არის, რა ყოფაშიაც წინად იყო.

რასაკვირველია, ამით საქმე არ უნდა დასრულდეს და ჩვენი სათავად-აზნაურო სკოლები დროთა ვითარებას უნდა შევუფეროთ, ესე იგი მუდმივ იმაზე უნდა ვზრუნავდეთ, რომ სკოლები, რომელთაც საგნადა აქვს ჩვენი შვილები აღზარდოს, რამდენადაც შესაძლოა, უკეთესად მოვაწყოთ; ყმაწვილებს საშუალება უნდა მივსცეთ უმაღლესი სწავლა მიიღონ და ამიტომ ჩვენი სკოლები უნდა გავხადოთ უმაღლესის სასწავლებლის საფეხურად. ამისათვის მხედველობაში უნდა მივიღოთ მმართებლობის ახალი განკარგულება იმ ცვლილების გამო, რომელიც რეალურ სასწავლებლებში უნდა შემოიღონ. ახალის განკარგულების ძალით, სახელმწიფო რეალური სასწავლებლები და ისინიც, რომელთაც კერძო კაცები, საზოგადოებანი და სხვა-და-სხვა წოდება ინახავს, გათანაბრებულნი იქმნებიან ნება-უფლებითა. ამ კერძო სასწავლებელში სწავლა-დამთავრებულებს ნება ეძლევათ უმაღლესს სპეციალურს სასწავლებლებში შევიდნენ ეგზამენის დაჭერის შემდეგ. ეს განკარგულება მმართებლობისა უსათუოდ უნდა მივიღოთ მხედველობაში, როცა ჩვენს სათავად-აზნაურო სკოლების თაობაზე ვლაპარაკობთ. მმართებლობა ნებას აძლევს თავად-აზნაურობას, ვითარცა წოდებას, თავისი რეალური სასწავლებელი იქონიოს, თუ რომ მოისურვებს, და თან იმასაც გვაუბნება, რომ ყმაწვილებს, რომლებიც დაასრულებენ ექვსს რეალურსა და ერთს დამატებითს კლასს, შეუძლიანთ სპეციალური სწავლა-ცოდნა შეიძინონო.

თუ წინად ვინმე იმისი წინააღმდეგი ხდებოდა, რომ სათავად-აზნაურო სკოლებს რეალურ სასწავლებლებად ნუ გადავაკეთებთო, ამის მიზეზი ის იყო, რომ ამ სასწავლებლებში სწავლა-დასრულებულებს საშუალება არა ჰქონდათ უმაღლესს სპეციალურს სასწავლებლებში შესვლისა. ეხლა-კი ეს დაბრკოლება არ არსებობს და ამიტომაც კარგი იქნება ახალს განკარგულებას მმართებლობისას ჩავუკვირდეთ და ჩავეჭიდოთ და იმისდა მიხედვით მოვაწყოთ ჩვენი სკოლები. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ეს გზა თვით მმართებლობის მიერ ნაჩვენებია და, მაშასადამე, იმდენს დაბრკოლებას არ შევემთხვევით, რამდენიც აუცილებლად მოგველის, თუ რომ სათავად-აზნაურო სკოლების სხვა სასწავლებლებად გადაკეთება განვიზრახეთ.

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** ივნისის უკანასკნელს რიცხვებში დანიშნული იყო ეგზამენები წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სკოლაში. ეგზამენზე დაესწრნენ მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი ალექსანდრე, სახალხო სკოლების დირექტორი, ბ-ნი ლარსკი, და რამდენიმე გარეშე კაცი. ეგზამენებმა

## ფელეტონი

### დილა მთისა

მზე ჯერ ზღვას იქითკე იყო,
წინ ალიონი ჟიკჟიკი,
ხელში წითელის ალმითა
გამოეგზავნა შიკრიკი.

შორს წყარო წყლებში ღუოდა
მზის თვალი[1]) ჩანაჭყეტები;
ყვავილ-ბალახზედ ნამები,
მჭირფასი მარგალიტები.

დილაზედ დილაობითა
შეჰმღერა ტოროლამაო,
მეცხვარე გამოაღვიძა
თეოზედ იმის ხმამაო.

მაღლებს-კი მაგარი ჰშინავთ
ღამე ნამილფხიზლარებსა;
სასადგომებზედ ცხვარ-ძროხა
ჰყრავს და ზანტად ღოხმარებსა[2]).

რას იგვიანებს ყორანი,
ან სვავნი რას ჰშვრებიანო?
დამსხდარან ბუდის კარზედა,
მზის მოსვლას მოელიანო.

მხოლოდ არწივი ნადირობს
შავარდნის მეშჯობიასა,
და ვეფხვიც გამოჰდგომია
დეკიანს[3]) სპეროზიასა[4]).

დიდი სანია ჯიხვთაცა
ბადუხში[5]) ბერტყეს ცხვრებიო
და გადალისულს[6]) ბალახსა
აღმე შააჩნდა კვლებიო[7]).

აგერ ქუჩი[8]) და კესანე[9]),
პაწაწკინტელა თეთრაო;
უძლებსა ჰძლებენ უძლებთა[10]),
გულში ჩაჰკვრიან მთებსაო.

მიყვარს მაგათი სამყოფო,
მიველტვი სიხარულითა;
სხვა რა აყრიათ კეთილი,
ჰცხოვრობენ სიყვარულითა.

ჩვენ არ შეგვიძლავ ეს ცნება[11])
გავსადოთ სალოცავადა
და სხვაც გვიყვარდეს იმიტომ,
რომ მას ვესავდეთ თავადა.

აბა შეჰხედეთ კესანეს
და ქუჩს, ბალახსა მთისასა,
რა რიგად მმურად ჰცხოვრობენ,
რომ ხატრს ინახვენ მთისასა.
ჰღამის დავჰზამოთ ერთურთი,
ვინ-ღა რას იტყვის სხვისასა!?

ბაჩანა

[1]) მზის თვალი—აცაცა, მზის ახხლეტილი შუქი.
[2]) ხმარებს—ცოხნაობს.
[3]) დეკა—მთის იელის მგზავსი მცენარეა.
[4]) სპეროზია—სანადირო ადგილია ალაზნის სათავეში. სპეროზია სულ მთლიანი კლდის მთაა, საცა, ჯიხვის ფსიტებს გარდა, სხვა ნადირს ცხოვრება არ შეუძლიან. იქ აგრეთვე ვეფხვებიც იცის.
[5]) ბადუხი გვერდალი ადგილია, ჯიხვ-არჩვების სამალი და საცხოვრებელი.
[6]) გადალიხული, ან ლიხიანი—ძალიან დანამული.
[7]) თენებას რო დაიწყებს, ღამე საძოვრად ჩამოსული ჯიხვები სიმაგრიან ადგილს ბადუხს მიაშურებენ ხოლმე.
[8]) ქუჩი ბალახია მთისა.
[9]) კესანე თეთრი ყვავილია, ისეთი ერთი ბეწვა, რომ ძლივს დაინახავთ.
[10]) უძლებნი—ქირი, საცხოვრებელი ადგილი.
[11]) ცნება—понятіе.

### ბატონ დიმიტრის ჭაშნიკები

(გი დე-მოპასანის მიბაძვა)

ბატონმა დიმიტრიმ საუცხოვოდ მოაწყო თავისი მამული. გარდა იმისა, რომ მამულით კარგად სარგებლობდა, რადგან ცოტაოდენს სწავლასთან ბატონს დიმიტრის პრაქტიკული ცოდნაცა ჰქონდა, ამასთანავე ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ თვალადაც კარგი სანახავი ყოფილიყო იმისი მამული. მართლაც, გაჩნდებოდა თუ არა ჩვენში ვინმე უცხოელი, მაშინვე გავაქანებდით იმ მამულის სანახავად. ბატონი დიმიტრი თუმცა ფულის მოყვარე და ძალიან ანგარიშიანი კაცი იყო, ისე რომ ბევრი გაიძვერად სთვლიდა, მაგრამ დარდიმანდობა მაინც უყვარდა; პურმარილის კაცი იყო და არა ზოგავდა თავისის ჭაშნიკების მოხდას.

ამბობენ, უდარდო კაცი დედამიწაზე არ იპოვებაო. ბატონ დიმიტრისაც აწუხებდა ერთი დარდი, რომელსაც იგი ლამის თან გადაეტანა...

ბატონ დიმიტრის ჰყავნდა ერთი მომიჯნავე, მოხუცებული მეზობელი, რომლის მამული დიმიტრისათვის განძად ჩაითვლებოდა. დიდი ხანია ბატონი დიმიტრი იმ მამულს თვალს აღევნებდა და იმის სყიდვის იშტა აწუხებდა.

ერთი ოცჯერ მაინც ფასი შეაძლია, მაგრამ მოხუცებული ბარძიმი დიდს უარზედ იდგა.

— ეს ჩემი მიწა-წყალია, აქ დავბადებულვარ და აქ უნდა მოვკვდეო, — ამითი იშორებდა ბარძიმი თავისს მეზობელს.

ბატონი დიმიტრი კიდევ ეწვია ბარძიმს იმ საქმის თაობაზედ.

სამოც-და-თორმეტის წლის მაღალი და გამხმარ-გამხმარი ბარძიმი იჯდა დერეფანში და ყელზედ ჭრელი ბაღდადი ჰქონდა მოხვეული. მწარედ დაფიქრებულს პირში დიდი ჩიბუხი ეჭირა.

იმისი მამული დღითი-დღე ცოტა სარგებელს იძლეოდა, მოხუცებული ვერა სწვდებოდა თავისს საკუთრებას. მართალია, შესანახავი არარავინა ჰყვანდა, რაც ორი ვაჟკაცი შვილი ომიანობის დროს ჭირმა გაიტანა და იმისმა თვალმაც უეცარ ნაღველს ვეღარ გაუძლო და თან გადაჰყვა. ოჯახის უბედურებამ ბარძიმს დაატეხა ვალი და იმისი გადახდა თანდათან ეძნელებოდა. მამულის დაგირავებასაც შიშობდა და ვაი-ვაგლახით, თავისის მხნეობით, იოლად მიდიოდა.

— თავადო, როგორა ბრძანდებით, ხომ ისევ ისე მხნეობთ? — ჰკითხა დიმიტრიმ შესვლის უმალვე.

— როგორც მხედავთ, ბატონო ჩემო, მოვუძლურდი, მარტოობამ თვალები ამომილამა! თქვენ როგორღა მშვიდობითა ხართ?

— დავიდარაბა ბევრია, თავადო, მამულის მოვლა ძნელია, თორემ სხვაფრივ ღმერთი მოწყალეა.

— ღმერთმა კეთილად გამყოფოსთ! სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ დრო და დრო გამოშვებით ბარძიმი ამოიღებდა ხოლმე ხმას:

— ბიჭო, ბატები არ დაგეკარგოს... ღორ-ხბო მონახე, ნახირი მოვიდა... ელისაბედ, ქათმები შელალე!..

ბატონ დიმიტრის რიღასიც თქმა უნდოდა და ვერა ჰბედავდა, მაგრამ ბოლოს ვეღარ მოითმინა და წამოიძახა:

— ერთი მიბძანეთ, თავადო...

— რა, ბატონო ჩემო!

— მაშ მაინც და მაინც არ მომყიდით მამულს?

— ხომ მოგახსენეთ, რომ მე მამულს არა ვყიდი მეთქი? რას ჩამაცივდით, არ მინდა და არა ვყიდი!

— მე რომ ისეთი პირობა გითხრათ, რომ ჩემთვისაცა და თქვენთვისაც სასარგებლო იყოს?

— ბრძანეთ. მე მაინც ჩემს მამულს არ გავყიდი.

— მამული მომყიდეთ, მაგრამ სანამ ცოცხალი ხართ, თქვენი იყოს. დამიგდეთ კარგა ყური. აი რა გითხრათ.

ბარძიმმა პირიდამ ჩიბუხი გამოიღო, თვალი თვალში გაუყარა დიმიტრის და გულ-დასმით დაუწყო ყურის გდება.

— მე გადაგიხდი თქვენს ვალს, იმ ორას თუმანს — განაგრძო ბატონმა დიმიტრიმ, — და გარდა მაგისა მოვალე ვიქნები, სანამ ცოცხალი ხართ, გაძლიოთ ჯიბის ხარჯად თვეში ერთი თუმანი. იქნებით და იქნებით თქვენთვის მოსვენებით. აღარც ვალი, არც რაიმე შეწუხება, გექნებათ ყოველთვის წელიწადში თორმეტი თუ-

კარგად ჩაიარეს, ასე რომ ყველა დამსწრეთ ძალიან სასიამოვნოდ დარჩათ როგორც ყმაწვილების სიტყვა-პასუხი, აგრეთვე სკოლისა და ფერმის მოწყობილება. ეტყობოდა, რომ როგორც თვით ბ-ნი ი. წინამძღვარიშვილი, აგრეთვე მასწავლებელნი, მღვდელი მ. გიორგი ასათიანი, ხრამელაშვილი და ივანიცკი, გულ-მოდგინეთ და ბეჯითად ეკიდებიან თავიანთს საქმეს. ყმაწვილებმა ყველა საგნებში საკმაო და საფუძვლიანი ცოდნა გამოიჩინეს. ეპისკოპოსმა ალექსანდრემ დიდად ისიამოვნა ეგზამენითა, ყმაწვილებს რამდენიმე მამობრივი ტკბილი სიტყვა უთხრა და ნიშნად სიამოვნებისა და თანაგრძნობისა შესწირა სკოლას ოც-და-ხუთი მანეთი, ამას გარდა დაჰპირდა, რომ ენკენისთვისათვის წიგნებს გამოგიგზავნითო და გამოაცხადა, რომ მსურველი ვარ ამ სკოლის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების წევრად ჩავირიცხოო, როცა ეს საზოგადოება დაარსდებაო. ბ-ნმა დირექტორმა დარსკიმ სკოლის წიგნში ჩასწერა შემდეგი: „1888 წელს, ივნისის 27 დღესა, დავესწარი სოფ. წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სკოლაში ყმაწვილების გამოცდაზე და ვიხილე ყმაწვილების ნამოქმედარი ბაღსა, ვენახსა, ბოსტანსა, საფუტკრესა და სახელოსნოში. გამოცდის დროს ნასმენმა და ნახულმა დამარწმუნა, რომ მზრუნველი სკოლისა ბ-ნი ი. წინამძღვარიშვილი და მისნი თანაშემწენი, ბ-ნნი მასწავლებელნი, დიდის სიყვარულით და მეცადინეობით ეკიდებიან საქმეს და ერთგულად ასრულებენ თავიანთს წმინდა მოვალეობასა. მღვდელ-მონაზონმა ლეონიდმა, ეპისკოპოზ ალექსანდრეს ძმისწულმა, სთქვა, რომ „ყმაწვილების ცოდნამა და მეტადრე იმათმა რუსულმა გამოთქმამ ძალიან „გამაკვირვა“. შეგირდები გამოცდის დროს გაბედვით და მკაფიოდ იძლეოდნენ პასუხს. მეტად კარგად შეუთვისებიათ რუსული ენა და გამოთქმა და ეს მით უფრო გასაკვირველია, რომ ქართველებს საზოგადოდ უჭირთ რუსულის სიტყვების სწორედ გამოთქმა.

*** ჩვენის დრამატიულის დასის არტისტს ბ-ნს ვ. აბაშიძეს განზრახვა აქვს შეუდგეს მოლიერის კომედიების ერთად ბეჭდვას. მოლიერის კომედიები საკმაოდ არის ქართულად ნათარგმნი, თუ არა ვცდებით, ცამეტიოდე იქნება, და ამიტომ მოლიერის ახლად გამოცემული კომედიები დიდი შესამატი იქნება ჩვენის მწერლობისათვის.

*** კონსტანტინოპოლში ქართულის ენის მცოდნე კათოლიკე ბერები, როგორც შევიტყეთ, შესდგომიან დიდის ქართულის ლექსიკონის შედგენას. პირველ სვეტში იქნება მოყვანილი ქართული სიტყვები და იმას მოჰყვება თარგმანი ევროპის რამდენსამე ენაზედ. ქართულის მცოდნე კონსტანტინოპოლს ბევრი მოიპოვება და კარგი იქნება, ქართულის ნაწილის წესიერად გამართვაში ვისმე მიიწვევდნენ.

*** აფხაზეთისა და ბათუმის მაზრებში დიდ ძალი სახელმწიფო მამულებია. ეხლა ეს მამულები, როგორც გვატყობინებენ, პირველის ივლისიდგან გადაუციათ სახელმწიფო ქონებათა სამმართველოსათვის.

*** იმერეთიდგან გვატყობინებენ: წელს ვენახები ყოველის ფრით მშვენიერი იყო და კარგს მოსავალსაც ველოდებოდით, მაგრამ აქა-იქ გაჩნდა ვაზის სენი—მილდიუ და ხეირიანის მოსავლის იმედიც დავკარგეთ.

ხელ მეორედ გამოსული აბრეშუმი ეხლა იპარკება და ვისაც-კი ქია ჰყავს, კარგი მოსავალი ექნება.

*** გორი: აქაური ჯიბგირები და ქურდები ღამით ნადირობას არა სჯერდებიან და თანდათან უფრო და უფრო თამამად მოქმედებენ, ასე რომ არც დღეს უფრთხიან და არც პოლიციას. საქმე იქამდის მივიდა, რომ ღამე ქურდობას არა კადრულობენ. ამის მაგალითი რამდენიმე იყო მოხსენებული გაზეთში. აი ერთი კიდევ: პირველს ივლისს გორში ცხენით ჩამოვიდა ჯამაგირის მისაღებად მღვდელი მ. ალ. ზედგინიძე. დილის ცხრა საათი იყო და მღვდელმა ცხენი მედუქნე ტატო თვარელიძის გომში დააბა. თერთმეტს საათზე ვიღაცამ ეზოს კარები გააღო და ცხენიც თან წაიყვანა. მღვდელმა ნახევარის საათის შემდეგ შეიტყო ეს ამბავი, იმ წამსვე აცნობა პოლიციას და თვითონაც დაედევნა ქურდს, მაგრამ ვერას გახდა. ქურდი თავისს გზას გაუდგა, ასე რომ იმისი კვალი ჯერაც ვერ აღმოუჩენიათ. საკვირველია, ღმერთმანი, ამისთანა გამბედაობა ქურდებისა! ან პოლიციისა რატომ არ ეშინიათ, ან გამვლელ-გამომვლელ ხალხისა რატომ არ ერიდებიან!?

*** იქიდამვე: 4-ს ივლისს გორში ჩამოვიდა პროფესორი პეტრიაშვილი სტუდენტებითურთ. ბ-ნს პროფესორს განზრახვა აქვს ატენის ხეობა დაათვალიეროს. 7 ივლისს ამანაგობა რუსეთში დაბრუნდება. სამს ივლისს დაუთვალიერებიათ თავ. ი. მუხრანბატონის მამული და მარნები.

*** სოფ. ბრილი: ორიოდე სიტყვა უნდა მოგახსენოთ იმ უბედურების გამო, რომელიც მოხდა სოფ. ბრილში ამ თვეის ცხრამეტსა და ოცს რიცხვებს შუა. შუა-ღამისას, როდესაც ხალხს ღრმად ეძინა, გაუჩნდა ცეცხლა მაჭავარიანის ახლად აშენებულს, დაზღვეულს სახლსა და ქირნახულით სავსე ბეღელსა და კინაღამ სახურავიდამ დაწყებული საძირკვლამდის დაიწვა. ასეც იქნებოდა, რომ შინ მწოლიარე მაჭავარიანის კაცისათვის არ შეეტყობინებინა ისევ მაჭავარიანის მიკეთე გლეხსა. ამ გლეხს გარდა ცხრა-ათს კომლს კარგი განწყობილება და დამოკიდებულება აქვსთ მოიჯარადრე მაჭავარიანთან. აი ამ გლეხებმა საჩქაროდ მოიყარეს თავი, რომ გაშმაგებული ცეცხლი წივილ-კივილით გაექროთ და გაენელებინათ. შემწეობა და შველა ცეცხლის გაქრობაში აღმოუჩინათ აგრეთვე გადამტერებულს გლეხებსაც, რომლებიც სოფლის მამასახლისის ბძანებით მოცვივნულიყვნენ აქა და დაეწყოთ გაძლიერებულის ცეცხლის ქრობა. ცეცხლის გაქრობისა და განელების შემდეგ ეზოში და ნამშრალებთან ენახათ თუნუქის დიდი, მგონი, თითო-თითო ფუთიანი ნავთის ჭურჭლები. სახლისა და ბეღლის გარდა ვილასაც სხვა შენობების დაწვაცა ნდომებია, მაგრამ ვერ მოუხერხებია და ვერ მოუსწრია ყველა ნამშრალისათვის ცეცხლის მოკიდება, თუმცა ნავთი ყველა შენობისათვის შემოუსხამს გარშემო და გაუმზადებია დასაწვავად.

ბრილში მაჭავარიანს სდგმია თორმეტი სხვა-და-სხვა გვარი შენობა და ნამშრალი. ექვსი იმათგანი, რომელთა შორის სახლიც და ბეღელიც ერია, დაზღვეული ყოფილა ათას ორას თუმანში ამ წლის იანვრის ოც-და-ერთიდგან. დაზღვევის შემდეგ გაიარა თითქმის ხუთმა თვემ და ეს ზემოხსენებული უბედურება ეწვია დაზღვეულს სახლებსა. როგორც გავიგეთ, ასეთი ამბავი პირველად არ მოსდის თურმე მაჭავარიანს: თოთხმეტიოდე წლის წინად დასწვია სახლ-კარი და ოთხას-ხუთასის თუმნის ზარალი მოსვლია. მეორედაც ამ ხუთის წლის წინად წაჰკიდებია ცეცხლი მაჭავარიანის სასიმინდესა და ძარსა, მაგრამ პატრონს ჩქარა გაუგია და თავიდამ დიდი უბედურება აუცილებია. მაშინ სახლ-კარი დაზღვეული არსად ჰქონია. ამ უკანასკნელის ხანებში მაჭავარიანმა დააზღვევინა და ეჭვი, როგორც წინად, ეხლაც გლეხებზე აქვს.

ამ არა-ჩვეულებრივმა ამბავმა მთელი სურამის ახლო-მახლო მცხოვრებლები აალელვა და აალაპარაკა. ვინ გლეხებს აბრალებს მაჭავარიანის გადაწვას და ვინ თვით პატრონსა. როცა გამოძიება გათავდება, უფრო დაწვრილებით შეგატყობინებთ საქმის გარემოებას.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ჯავახეთი. სოფ. ბარალეთის (ახალქალაქის მაზრა) მიჯნაში, ჩრდილოეთის მხარეს, ერთის ვერსის მანძილზედ ამ სოფლიდგან, არის ოთხ-კუთხიანი გალავანი; ეს აშენებულია უბრალო შავის ქვისაგან და შიგ შუაგულ ამ გალავნისა სდგას ერთი მაღალი გათლილი ოთხ-კუთხიანი ქვა, რომელსაც სიგრძე ექნება არა ნაკლებ სამის საჟენისა და ზედ წვერზედ თვით ამავე ქვიდგან ამოჭრილია ჯვარი.

---

მანი, იჯდებით თქვენს მამულში მეფურად და რაც კიდევ მამულიდამ შემოგივათ, ისიც სხვაა.

მოხუცებული გაშტერებით შესცქეროდა, სიამოვნება გამოეხატა სახეზედ, თანაც არ იჯერებდა, შიშობდა, ხომ არ მატყუებსო, და ჰკითხა:

— მერე თქვენი სარგებლობა რა არის?

— მაგაზედ ნუ შესწუხდებით. სანამ ღვთის ნება იქნება, სრულ მებატონედ ამ მამულისა ისევ თქვენ დარჩებით, ხოლო დამიმტკიცეთ ქაღალდი, რომ თქვენის სიკვდილის შემდეგ ეგ მამული მე ჩამბარდეს. ცოლ-შვილი ხომ აღარა გყავსთ, თქვენი ბიძაშვილებიც რუსეთში გადასახლდნენ და, ვინ იცის, ცხონებაც არ შემოგითვალონ, მამულის ჩაბარებაზედ რომ შეწუხდნენ. მოსვენებით რომ მამულში იცხოვროთ, მოგებაში არ იქნებით?

ბარძიმს თანდათან გუნებაში უჯდებოდა.—მე სულაც უარზედ არა ვდგევარ, მხოლოდ ამას მოფიქრება უნდა. ამ ერთს კვირაში მოვიაზრებ, მოვიფიქრებ და მაშინ მნახეთ, პასუხს მოგახსენებთ.

ბატონი დიმიტრიც კმაყოფილი დაბრუნდა შინ. დიდის ხნის წადილი უსრულდებოდა. მეზობელი მოხუცებული იყო, დიდხანს არ მოუნდებოდა ბატონს დიმიტრის ფულის გამოღება. ამასთანავე ეხლავე რომ ხელში არ ჩაეგდო ეს მამული, მერე ვინ იცის ვის ერგებოდა და რადგან ამისთვის აუცილებლად საჭირო იყო, თუ არ მამასისხლ ფასად, ველარ ჩაიგდებდა ხელში.

ბატონ დიმიტრის წასვლის შემდეგ ბარძიმი მიეცა ღრმა ფიქრს, ერთიორი ღამე ძილიც დაუფრთხა: შიშობდა, არ მოვტყუვდეო. ახლად გამდიდრებული დიმიტრი ანგარიშიანი კაცია, არ ჩამითრიოს და მერე სიბერის დროს ქუჩაში არ დავრჩეო; ამასთან აგონდებოდა, რომ აღარც სარგებლის მიცემა მოუნდებოდა და აღარც იმ საძაგელს მოვალეს ჩაუვარდებოდა ხელში, რომელიც ყოველ წამს ემუქრებოდა მამულის აღწერას.

„სანამ ცოცხალი ვარ—ჰფიქრობდა ბარძიმი,—მამულსაც ადრინდელსავით ვჭამ, ჯიბის სახარჯოც მექნება და, თუ მოვკვდები, ქვა ქვაზედაც ნუღარ დარჩება. ვინ ბიძაშვილებს უნდა დავუტოვო მამული, განა ვინმემ მომხედა, ან მიპატრონა? თვალები ამოლამებული მაქვს მარტოდ-მარტო ყოფნითა, ნაღველი რომ კარს მადგა, ვინმემ ნუგეშინი მცა?..

რა ჰქნას ეხლა ბარძიმმა, ვის დაეკითხოს? თავისი ერთგული მოურავი, რომელიც უიმისოდ ნაბიჯსაც არ გადასდგამდა, ეს ორი თვეა რაც მოუკვდა! ბოლოს წერილი გაგზავნა ერთს კანონების მცოდნე მახლობელ ნაცნობთან და რჩევას ჰკითხავდა. იმანაც პასუხი არ დაუგვიანა. ნაცნობიც ურჩევდა პირობაზედ დათანხმებულიყო, ხოლო ჯიბის ფულად ორი თუმანი გამოსთხოვეო. წერილს ხუმრობით ასე აბოლოებდა: მაშინ მეც გეწვევი და აი თუ ქეიფს გავწევთ. სხვები, შვილების პატრონები, მამულს აგირავებენ და ჰყიდიან და შენ რა ემმაკებისთვის გესაჭიროება ეგ მამულიო?

ბარძიმმა გულში გადასწყვიტა საქმის დაბოლოვება, ელოდა მოუთმენლად ბატონს დიმიტრის, თითქოს შიშობს კიდეც, დიმიტრი თავისს სიტყვას არ გადუდგესო.

დიმიტრი პასუხისთვის მალე ეწვია. ბარძიმი ვითომ ჯერ უარზედ იდგა, ყოყმანობდა, ბოლოს სთხოვა, რომ ჯიბის სახარჯო ორი თუმანი გამიხადეო, დღეს-ხვალ აღარ ვიქნები, მოვკვდები და ამოდენა მამული შენ დაგრჩებაო. ხომ ხედავ რა ნაირად მოვუძლურდი, ნიკრისის ქარებმა ლამის დღე-დღეზედ ბოლო მომიღოსო.

დიმიტრიმ გადაჭრით უარი უთხრა, წელიწადში ოც-და-ოთხის თუმნის მიცემა ულმერთობააო, მაგრამ ბარძიმი ისე უძლურად გამოიყურებოდა და თანაც ისე ეფუსფუსებოდა ამისთანა მამულის ხელიდამ გაშვება, რომ ბევრის ლაპარაკის შემდეგ, რის ვაი-ვაგლახით, დააბოლოვეს საქმე. ოქმი შეადგინეს, ნოტარიუსს მოაწერინეს ხელი და საქმის დასამთავრებლად ერთი-ორიც გადაჰკრეს.

—

გავიდა სამი წელიწადი. ბარძიმს თითქოს სიბერე არ ეკარებოდა, ეხლა უფრო მხნედ გამოიყურებოდა და სრულებითაც აღარ ავადმყოფობდა. თვალის დახამხამებაზედ გარბოდა თთვეები. ხელ-მოჭერილი დიმიტრი უთვლიდა თთვეში ორ-ორს თუმანს და ჯავრით სისხლი ყელში ებჯინებოდა, კიდეც ეგონა, რომ მთელი საუკუნე გავიდა, რაც ამ ფულს ვაძლევო. ზოგჯერ მივიდოდა ბარძიმის სანახავად, მაგრამ ვაი იმ ნახვას! ისე დასცქეროდა იმ საბრალოს, თითქო ყანებს ათვალიერებს, მოსაჭრელი ხომ არ არისო.

ბარძიმი ყოველთვის მხიარულად დაუხვდებოდა და ფიქრშიაც არ მოსდიოდა, რომ ბატონს დიმიტრის იმისი სიკვდილი ეჩქარებოდა.

დიმიტრი მეტად ზრდილობიანი იყო, რომ სიტყვა წინ დაუხედავად წამოსცდენოდა, და გულში-კი სულ იმას ჰფიქრობდა: „რა დაემართა ამ ქოფაკს, რომ არა კვდება აქამდის? თუ ასე გასტანა, მე სულ დავიღუპები“. ბატონს დიმიტრის ისე უნდოდა ბარძიმის თავიდამ მოშორება, რომ გულში რაღაც ბოროტი აზრი გაიტარა და კიდეც მოინდომა ამ აზრის შესრულება.

ერთხელ დიმიტრი გადმოვიდა ბარძიმის სანახავად და მიიწვია თავისთან სადილად. ემდუროდა, რომ მეზობლები ვართ და თავისს დღეში არ მეწვევით ხოლმე სადილადაო. ბოლოს მიიპატიჟა კიდეც ბარძიმი.

ბარძიმმა დაპატიჟებაზედ უარი არა სთქვა და მეორე დღესვე ესტუმრა ბატონს დიმიტრის.

მასპინძელი გულის ძაგძაგით ელოდებოდა სტუმარს, შესაფერი საჭმელი გააკეთებინა და თითქმის თავისის ხელით ემსახურებოდა. ხან ერთს თეფშს მიუდგამდა და ხან მეორეს, მაგრამ დაფიცებულივით ბარძიმი საჭმელს არ ეკარებოდა და თითქოს ამის მასპინძლობას ეჭვით უყურებდა. ბოლოს, როდესაც ბატონმა დიმიტრიმ ჭაშნიკები გადმოაღებინა და დაიწყეს ღვინოების სინჯვა, ბარძიმი დატკბა, დაიწყო ბლომად სმა, ღვინო გაუჯდა თავში და სულ იძახოდა: „ნეტავი მუდამ დამალევინონ ეს ღვინოო“.

შეზარხოშებული და გამხიარულებული ბარძიმი დაბრუნდა შინ. მეორე დღეს ბატონმა დიმიტრიმ ფეშქაშად მიუტანა კაი ღვინოთი სავსე ტიკი. ერთი ორი დოქი ერთადაც გადაჰკრეს და თანაც დიმიტრი დაჰპირდა, რომ რამდენიც გნებავდეთ, ღვინოები ჩემგან წაალებინეთო. ბარძიმმა კარგა დაიხსომა ეს დაპირება და ხშირ-ხშირად გზავნიდა ცარიელს ტიკს. დიმიტრიც, რასაკვირველია, გულიანად უგზავნიდა კაი ცხარე-ცხარე ღვინოებს.

შეეჩვია ბარძიმი საშინლად ღვინის სმას და ისე გადააჭარბა, რომ ფეხის გადადგმაც ეძნელებოდა, სულ ბარბაცებდა. მოსამსახურე ხან სად ნახავდა ბატონს მიგდებულს და მიძინებულს და ხან სადა...

ბატონი დიმიტრი აღარ დადიოდა ბარძიმთან, ფეხი ამოიკვეთა და ღვინოს კი ისევ ბლომად უგზავნიდა. როდესაც სხვები ეუბნებოდნენ, რომ საბრალო ბარძიმი უთუოდ ლოთობას გადაჰყვებაო, მაშინ ბატონი დიმიტრი გულ-შემატკივრად წამოიძახებდა ხოლმე:

— მიკვირს, რომ აქამდისაც არ მიჰყო ხელი ლოთობას. იმისთანა წყეულის შვილის დამკარგავმა თუ არ ღვინით, მაშ რითი უნდა გაიქარწყლოს თავისი ნაღველი?

ბარძიმმა ლოთობას დიდხანს ვერ გაუძლო და ზამთარი დადგა თუ არა, გაცივდა და გარდაიცვალა. არავინ გაუკვირვებია იმ ამბავს, რომ ბარძიმის მამულის სრული მფლობელი ბატონი დიმიტრი გახდა.

გარეშემო ამ გალავნისა დღესაც მოსჩანს დაშთენილი ძველი ნასახლარების კედლები, კარ მიდამო, კალოები და ორმოების თხრილები. ამ ნასოფლარზედ დღემდის არავითარიმე დაწერილებითი გარდმოცემა არა სჩანს, მხოლოდ, როგორც აქაურმა ერთმა ოთხმოც-და-ათის წლის მოხუცმა გვიამბო, აქ, ამ ნასოფლარში, ას ოც-და-თხუთმეტის წლის წინად უცხოვრნიათ ქართველებს, რომლებიც უმან-ხანს, ლეკების სარდალს, აუოხრებია. აი ეს აოხრება როგორ მომხდარა: როდესაც მთელი ჯავახეთი ოსმალეთის მფლობელობაში ყოფილა, უმან-ხანს ოსმალოსთვის ომი გამოუცხადებია და კიდეც წამოსულა ჯავახეთზე. შემოსულა თუ არა უმან-ხანი ჯავახეთს, მაშინვე აუოხრებია დიდ-ძალი ქართველობა და ზემოხსენებული სოფელიც. უმან-ხანს მოუტაცებინებია თავისის ჯარისათვის ახალგაზრდა ქალ-რძალი და წაუყვანია ტყვედ; ლეკები დასხმიან წირვა-ლოცვის დროს თავისს სამღვდელოებას და მლოცავებს და იქვე ეკკლესიაში ამოუხოცნიათ. უმან-ხანს ეკკლესიებში დაუბინავებია თავისის ჯარები და ბევრი ეკკლესია სამეჯინიბოდ გადაუქცევია. ბოლოს ზოგი დაუწვავს, ზოგი დაუნგრევია და ზოგი-კი დღემდე ხელ-უხლებლად დარჩენილა...

ამ აოხრებულ სოფელს სახელად სირგვი რქმევია და ეკკლესია ამაღლების სახელობისა ყოფილა. ოთხ-კუთხიანი გალავანი, რომელზედაც წინად მოგახსენეთ, აშენებულია ამ ათი-თხუთმეტის წლის წინად იმ ადგილას, სადაც ნაეკკლესიარი ყოფილა.

წინად ქართველებს ამ ამაღლების ეკკლესიასთან ამაღლების დღესასწაული სცოდნიათ. ეს ჩვეულება ეხლაც დაცულია და როგორც ქართველები, არზრუმიდგან გადმოსახლებულ სომხობაც ერთ ნაირად დღესასწაულობენ ამაღლებას. ყოველს ამაღლება დღეს აქ ამ სირგვის ნასოფლარზე იკრიბება დიდ-ძალი ქართველობა და სომხობა, აქ ამ დღეს გაჩაღებულია ხოლმე ზაზრობა-ვაჭრობა სხვა-და-სხვა ხილეულობისა და ნივთეულობისა.

წელს, 2 ივნისს, ჩვეულებისამებრ შეგროვდა დღესასწაულზე დიდ-ძალი მლოცავი სომხობა და ქართველობა. სომხების მანდილოსნები საუცხოვოდ მორთულნი იყვნენ ოქრო-ვერცხლით, წითელის მაუდის, ან შალის ფეშტამლებით და „ხირხებით" (ჯუბები გრძელი და უსახელო, უფრო ხშირია ლურჯის მაუდისა და მიტკლისა, ან ტილოსი). სომხობის მანდილოსნობას დაებათ ფერხული და მთელს დღეს ამათი სიმღერა გაისმოდა. ახალგაზრდა ქალი-რძალი საუცხოვოდ დასძახოდა სხვა-და-სხვა საარშიყო სიმღერას. ამათი მამაკაცებიც აგრეთვე მშვენივრად იყვნენ დაკაზმულნი.

ჩვენი ჯავახეთის ქართველობა-კი სულ მთლად ინდაურებივით მიმალულიყვნენ ურმების ქვეშ, თითქო ამათთვის ეს დღესასწაული არ ყოფილიყოს.

ჯავახელ ქართველობის ქალებზე ვერ ნახავდით სუფთა და მპიროვანს ტანისამოსს, ოქრო-ვერცხლს და სხვა ამ გვარს ტანის დასამშვენებელ ნივთეულობას.

მზემ რომ შუა-დღისას მოატანა, რამდენიმე ახალგაზრდა „ჯეელები" გამოვიდნენ ცხენებითა და იარაღ-შეჭურვილნი საჯირითოდ მეიდანზე. ჯირითობაც გაიმართა. რომ ერთმანეთი კარგად გაახურეს ლაზათიანის ჯირითის სროლით და ჯახა-ჯუხით, ცოტა არ იყოს მოჯირითეთა შორის ამ დროს კინკლაობა მოხდა, და რომ ასეთი კინკლაობა სისხლის ღვრად არ გადაქცეულიყო, იქ მყოფმა სოფლის „კრუა" მოხელეებმა მათრახით დაამშვიდეს და ეს დღე მთლად მშვიდობიანად ჩაატარეს.

ღვთის წყალობით, ყოველ წელს ჩვენს ჯავახეთს არ აკლდება სხვა-და-სხვა ყაჩაღი, მახლობელ თათრის სოფელ გოკიოდგან 1883—1886 წლებში იყო გავარდნილი აქაურს მთებში გოკიოს მცხოვრები ჭურიმან-მოლა-ოღლი, რომელსაც ჭბრალდებოდა ახალქალაქელის ვაჭრის მოკვლა და რომელიც ხსენებულს წლებში გამვლელს-გამომვლელს სცარცვავდა და ერთს ყოფას აყენებდა. მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ ამ ავაზაკს დიდის დევნის შემდეგ ბოლო მოუღეს, დაიჭირეს და მისცეს სამართალში. ამ ერთს ავაზაკს, როგორც იყო, გადავრჩით. საუბედუროდ, კიდევ ამ სოფ. გოკიოდგან, ამ უკანასკნელს წლებში, გავარდა ერთი ყაჩაღი, სახელად ოროჯა, რომელსაც ეგრეთვე ჭბრალდება გოკიოს ალალარის მუსა-ალა-ქამალ-ოღლის მოკვლა. აი, ოროჯას ყაჩაღობისა და ალალარის მოკვლის მიზეზი რა იყო: თურმე მუსა ალა ერთს ღამეს შესულა ოროჯას რძალთან საარშიყოდ და ამ დროს ოროჯაც შინ დახვედრია; ოროჯამ დასცა ხანჯალი მუსა-ალას და იქვე გააგდებინა სული. ოროჯა სამართალში მისცეს და დააპატიმრეს ქ. ახალქალაქის საპყრობილეში. გატეხა ფანჯრების რკინის მოაჯირები და გაიქცა მთებში. ამ დროდგან ოროჯამ დაიწყო ყაჩაღობა და თავის ზარი დასცა მთელს ჯავახეთს. ზამთრობით სცხოვრობდა ბორჯომის ტყეებში, ბერძნების სოფ. ცხისჯვრის მახლობლად, და ზაფხულობით ამ ტყის მთის ყელებში თავისის ერთის თუ ორის ამხანაგითურთ. ძალიან და ძალიან რომ შეაწუხა ხალხი ოროჯამ, ახალქალაქის მაზრის უფროსის განკარგულებით, ამ უკანასკნელს ხანებში, ჩაყენებულ იქმნა ეგზეკუცია სოფ. გოკიოში, რომლის წინამძღოლად იყო აბაზ-ბეგის შვილი ბ-ნი აბაშიძე (ესეც თათარი აღალარია) იმ აზრით, რომ გოკიელებს მიეცათ მთავრობისთვის ავაზაკი. ამ საშუალებით ვერას გახდნენ, მაგრამ ბოლოს, რომ ძალიან შეაწუხა სოფ. გოკიო ეგზეკუციის ხარჯმა, მთელი თათრობა ხელში თოფი-იარაღით დაედევნა ოროჯას დასაჭერად. ივნისის 9 ს ამბავი მოვიდა ახალქალაქში, რომ ოროჯა შეპყრობილ იქმნა ბორჯომის მთებში ურიადნიკის ყასიმან-ბეგ-აბაშიძის მეცადინეობითაო. ეს ამბავი გაიგო თუ არა ახალქალაქის პოლიციამ, მაშინვე მიაშველა რამდენიმე ჩაფარი და ერთი პოლიციის მოხელე. ოროჯა უკვე ჩამოიყვანეს გოკიოში და აქედგან 10 ამ ივნისს წაიყვანეს ახალქალაქში. ოროჯას აღმოაჩნდა ექვს თუმნამდე ფული, რამდენიმე ვერცხლის ქამარი და ხანჯალი. ოროჯას ერთი ამხანაგთაგანი თოფით დაიჭრა მუხლში ოროჯას დაჭერის დროსვე.

ვ. კოპტონაშვილი

# უცხოეთი

**გერმანია.** იმ ამბავმა, რომ რუსეთის იმპერატორმა და გერმანიისამ ერთმანეთი უნდა ინახულონო, საერთა-შორისო პოლიტიკის მიერ აღძრული საგნები დროებით უკან მიაყენა და ეხლა ევროპის ჟურნალ-გაზეთებს მხოლოდ ამ იმპერატორთა ნახვაზედ-ღა აქვსთ ბაასი და მსჯელობა. ბერლინში ზოგნი იმ აზრისანი არიან, რომ მათ უდიდებულესობათა ერთმანეთის ნახვა ზრდილობიანობით არის გამოწვეული და სხვა არა-რითაო, ხოლო მეორენი-კი უფრო დიდს მნიშვნელობას აწერენ. ზოგიერთნი უკანასკნელებში ისეთნიც არიან, რომელნიც გაიძახიან, რომ გვირგვინოსანთა შეხვედრა გერმანიის პოლიტიკას სულ ერთიანად შეუცვლის მსვლელობასაო. ამბობენ, რომ იმპერატორთა შორის მორიგება მოხდება ავსტრიის ინტერესების საზიანოდ და ამ მორიგებაშივე გარდასწყდება აგრეთვე ბოლგარიის დაუწყნარებელი და დაუშვიდებელი საქმეცაო. ამ აზრს, რასაკვირველია, დიდის ყურადღებით ადევნებენ თვალ-ყურს ვენაში და ჰშფოთავენ:

„Wiener Tagblatt"-ი პირდაპირ ამბობს, რომ სამთა კავშირს, გერმანიისას, ავსტრი-ვენგრიისას და იტალიისას, აზრი არა აქვს, თუ იმ გარემოებით არ არის გამოწვეული, რომ რუსეთი თავ-დაჭერილად ამიქმედონო. გაზეთი იმ აზრისაა, რომ თუ რუსეთიც ჩაერია ამ კავშირში, კავშირი ყოველსავე მნიშვნელობას დაჰკარგავს; ხოლო თუ რუსეთს რაიმე განსაკუთრებული უფლება მიენიჭება, ეგ ავსტრი-ვენგრიის ინტერესების მხრის ახვევა იქნება და ამას გარდა ღალატი იმისა, რაც გრ. კალნოკიმა სთქვა დელეგაციებში ვენის კაბინეტის პოლიტიკაზეო.

სულ სხვა აზრისაა „Neue Freie Presse". გაზეთი ამბობს, რომ ავსტრი-ვენგრიას სრულიადაც არ ეფიქრება, ვითომ ამ იმპერატორთა ნახვამა და მოლაპარაკებამ შეიძლება ჩვენის სახელმწიფოს ინტერესებს ავნოს და აზარალოსო. შემდეგ იმის დასამტკიცებლად, რომ გერმანიისა და ავსტრი-ვენგრიის კავშირი მტკიცე და შეუშლელიაო, გაზეთს გერმანიის იმპერატორის მიერ თქმული სიტყვა მოჰყავს ფრჩხილებში. წერილი შემდეგის სიტყვებითა თავდება: „გერმანია, ავსტრი-ვენგრია და იტალია ხელ-შეკრულობათა დასაცველად და დასაფარველად შეკავშირდნენ და თუ ამ მხრივ რუსეთიც მოიწადინებს მოკავშირეობას, არავის არ უნდა ჰქონდეს შიში, რომ ან ახალი რამ კავშირი შესდგება და ან გერმანია და ავსტრი-ვენგრია გაუგულგრილდებიან ერთმანეთსაო. გაზეთის აზრით, იმპერატორები ამ წლის შემოდგომაზე ჰნახვენ ერთმანეთს, მას შემდეგ, რაკი ვილჰელმ II ჰნახავს იმპერატორს ფრანციოსებს და მეფეს იტალიისას ჰუმბოლტსაო.

„Pester Lloyd"-ი ამბობს, რომ ბავშობაა იმის ფიქრი, ვითომ ავსტრია გულის ძგერით მოელის იმპერატორთა ნახვასაო. თუ ევროპის მდგომარეობა შეურყეველი და მკვიდრი არ არის, არ არის არა იმიტომ, ვითომ ბოლგარია იყოს მიზეზი. ეს მდგომარეობა, გაზეთის აზრით, გამოწვეულია გერმანიისა და საფრანგეთის დამოკიდებულებით და ამ სატკივარს სათავე 1870 წლიდგან ეწყებაო. ჩვენი ინტერესები ბოლგარიაში გაუნაწილებლად არის შეერთებული და შეხორცებული ევროპის ინტერესებთან ერთად. ჩვენ ჩვენდა სასაკუთროდ არაფერს ვთხოულობთ, ხოლო არც არავის დავუთმობთ რასმე. არ უნდა დავივიწყოთ, რომ, დანარჩენ ევროპის გარდა, თუ გერმანია ბოლგარიის საქმეზე მორიგებას დაიწყებს რუსეთთან, საერთა-შორისო ხელ-შეკრულობანი უნდა დაარღვიოს და ამასკი არასოდეს არ იკადრებს. იმპერატორთა ნახვა სულაც არ არის გამოწვეული ბოლგარიის საქმის გადასაწყვეტად, არც ბოლგარიისა და არც სხვისა რომელისამეო.

ამავე საგანზე „Times"-ის ვენელი კორრესპონდენტი სწერს: ყველა დარწმუნებულია, რომ ევროპის მდგომარეობას მძიმე ხანა დაუდგა. გერმანიის იმპერატორი რუსეთში მშვიდობიანობის შუამავლად მიდის და ოფიციალურს წრეებში ყველანიც დარწმუნებულნი არიან, რომ გაიმარჯვებს. ხოლო ისინი-კი, რომელნიც ამბობენ, რომ ჭაბუკი იმპერატორი და ჰერბერტ ბისმარკი დაიყოლიებენ რუსეთს და აღმოსავლეთის პოლიტიკას შეაცვლევინებენო, ძალიან ცოტანი არიან. უმეტესობა ამის შესახებ უნუგეშოდ იქნევს თავსა. ხოლო იმაში-კი ეჭვი არავისა აქვს, რომ რუსეთი მშვიდობიანობის მომხრე და მოსარჩლე იქმნებაო.

„Kölnische Zeitung"-ში დაბეჭდილია ბერლინიდგან კორრესპონდენცია, რომელიც ამავე იმპერატორთა ნახვას შეეხება. ავტორი არა ჰფარავს, რომ ამ ნახვას დიდი საპოლიტიკო მნიშვნელობა აქვსო. ავსტრიასთანა და იტალიასთან შეკრული კავშირი სრულიად საკმარისია გერმანიის ინტერესების დასაცველად და ეს სახელმწიფო სხვა მოკავშირეს აღარა საჭიროებსო. ეს ასეა, ხოლო გერმანია ეცდებულია ეცადოს, რომ არც ერთს იმის მოკავშირე სახელმწიფოს რომელსამე სხვა სახელმწიფოსთან საქმე არ გაუჭირვედეს, რადგან ავსტრიის ბრძოლა ზოგიერთს შემთხვევაში შეიძლება გერმანიის ბრძოლად გარდაიქცეს და ასეთი ამბავი-კი ეწინაღმდეგება იმ სამშვიდობო პოლიტიკას, რომელსაც გერმანია არა ჰღალატობს აგერ უკვე თვრამეტი წელიწადია. ამიტომაც ეს სახელმწიფო ეცდება ყოველივე ღონე იღონოს, რათა ავსტრიისა და რუსეთის შორის არა ვითარიმე უთანხმოება და უსიამოვნება არ გამოტყდეს. გერმანიის იმპერატორი მშვიდობიანობის დაცვის მსურველია და კიდეც ამიტომ მოდის რუსეთს, რუსეთის იმპერატორის სანახავად, რომ იგიც თავისებრ ამოქმედოსო.

„Independance Belge" იმ აზრისაა, რომ გერმანიას უნდა რუსეთი გაისიამტკბილოს იმ შემთხვევისთვის, ვინიცობაა გერმანიის დასავლეთ საზღვარზე ომი გაჩაღდაო. რასაკვირველია, თუ ამ მხრივ დაიყოლია რუსეთი, მაშინ, რაღა თქმა უნდა, მშვიდობიანობა ცოტად თუ ბევრად ფეხს მოიკიდებს, რადგან აღმოსავლეთის საქმეში აშლილობისა და უსიამოვნობის მიზეზი მოშორებული იქნება, ხოლო ევროპის საერთო მდგომარეობას-კი საქმეთა ასეთი ცვლილება ვერაფრით განაკარგებს და ვერაფრით გააუკეთესებსო. ყოველივე ხელ-შეკრულობა, რომელიც-კი რუსეთს ხელ-ფეხს უკრავს აღმოსავლეთში, დასავლეთს ევროპაში ბრძოლასა და ომს უფრო ადვილად მოსალოდნელსა და ადვილად შესაძლებელსა ჰხდისო.

# წვრილი ამბები

აწ გარდაცვალებულ გერმანიის იმპერატორ ფრიდრიხის სამკვიდროში არის თურმე, სხვათა შორის, დიდ-ძალი ძვირფასი ღვინოები, რომელიც ამ ბოლოს დროს უეიდნიათ ავადმყოფ იმპერატორის უფასოდ მისაცემად. ქვრივს იმპერატრიცას ვიქტორიას უბრძანებია, რომ ეგ ღვინოები საავადმყოფოებში დაარიგეთ, რადგან მაძრწუნებს ის აზრი, რომ შეიძლება მაგ ღვინოებით ილხინოს ვინმეო.

— პარიჟის საჭიგიენო საბჭოს უკანასკნელს კრებაზედ გამოუცხადებიათ, რომ პასტერს თავიდგანვე სულ 6,500 კაცისათვის აუცრია ცოფი, ხოლო ამათში 80 გარდაცვლილა. ამ წელს პასტერთან საწამლებლად მისულა სულ 140 კაცი, რომელთა შორისაც ორი რუსია. საჭიგიენო საბჭოში ბაასი ჩამოვარდნილა აგრეთვე პასტერისებურის მეთოდით ამცრელს სადგურებზე, რომელიც გამართულია ოდესასა და ვარშავში. ოდესაში წარსულის წლის განმავლობაში სულ 389 კაცისათვის უწამლიათ. ამათში სამს აუცრია ისე ცოფი, რადგან დაკბენილი არა ყოფილა. ზემოხსენებულს რიცხვში სრულიად მორჩენილა 345 კაცი და ამათშიაც ერთი გარდაცვლილა. ზერე-ქვერედ მორჩენილებში 12 გარდაცვლილა. ვარშავში 400 ავადმყოფი ყოფილა და ამათში 8 მომკვდარა.

— რიენცის მკვლელს, რომელიც დაპატიმრებულია ამ ჟამად და რომელსაც სიკვდილით დასჯა აქვს გარდაწყვეტილი, მიუმართავს იტალიის მეფისათვის და უთხოვნია, რომ რაც შეიძლება ჩქარა აღმასრულეთ გარდაწყვეტილი სასჯელი, ხოლო ის ფული-კი, რომელიც ჩემს ციხეში შენახვაზე უნდა დაეხარჯოთ, ჩემს ცოლშვილს გარდაეცითო. ის ფულიო,— სწერს კაცის მკვლელი: — რომელიც თქვენმა უდიდებულესობამ ჩემისთანა არა საჭირო და უმაქნისს არსებაზე უნდა დაჰხარჯოს, ცოტაოდე შეღავათს მისცემს ჩემს ცოლ-შვილსაო".

— ამას წინად პარიჟში ვაჭრის გებერის ცოლი იჯდა თურმე თავისის პატარა შვილის აკვნის წინ, თან არწევდა და თან დაჰმღეროდა. ქალის სიმღერა გაღებულის ფანჯრიდგან ქუჩაში გაისმოდა. უეცრად ვიღამაც კარები დააბრახუნა. ეს ვიღაცა რიტტი იყო, საოპერო თეატრის დირექტორი. „თქვენ მშვენიერი ხმა გქონიათ,— მიჰმართა რიტტმა უმაწვილს ქალს: — მოდით ჩემთან, იმღერეთ, ჩემს საკუთარს ხარჯზე მოგამზადებთ სასცენოდაო". გაოცებულმა უმაწვილმა ქალმა არ იცოდა თურმე რა ეთქვა. რიტტმა კვლავ დაიწყო: «მასწავლებლებს ჩემის ხარჯით დაგიჭერთ და ამას გარდა წელიწადში ჯამაგირს 1,500 მან. მოგცემთ. მოიფიქრეთ, მოისაზრეთ და თუ ჩემი სიტყვა ჭკუაში დაგიჯდეთ, ხვალ მოდით ჩემსას და შემატყობინეთო». მეორე დღეს ამ ახირებულს პირობაზე ხელი მოაწერეს და ყველა პროფესორებმა მაშინვე გამოაცხადეს თურმე, რომ ქ-ნს გებერს უმშვენიერესი და საკვირველი ხმა აქვს, მაგისთანა ხმა თითქმის იშვიათი ამბავიაო.

— სტრასბურგში ყოფნის დროს გამოჩენილი თვალთ-მაქცი კალიოსტრო, 1780 წ., ხშირად დადიოდა თურმე სამკურნალოებსა და საავადმყოფოებში და ავადმყოფებს იარებს უხვევდა და არიგებდა. ხოლო ყველგან ერიდებოდნენ თურმე იმ მიზეზით, რომ არა წმინდას ჭმეგობრობსო. ლაფატერი ამბობდა ხოლმე, რომ კალიოსტრო საგანგებოდ არის ღვთისაგან ამ ქვეყნად მოვლენილი და მისიად ღირსეული საქმე აქვს მიჩემებულიო. ამ აზრისა იყო, როცა ერთხელ წერილი მისწერა და ზემოდგან წერილს შემდეგი სიტყვები დააწერა: „ბ-ნს გრაფს კალიოსტროს, ზოროტს სულს სტრასბურგში". ბაზელში ეს ორი ადამიანი გაეცნო თურმე ერთმანეთს. ამათს ერთ-

მანეთის ნახვას სხვანიც ბევრნი დაესწრნენ. „რაში მდგომარეობს თქვენი მეცნიერებაო?“—ჰკითხა ლავატერმა.—„სიტყვებსა, მცენარეებსა და ქვებშიო“,—უპასუხა კალიოსტრომ. ლავატერმა ყურადღებით ახედ-დახედა თანამოსაუბრეს ცოტა ხანს და შემდეგ უთხრა: „თქვენის სასის ხაზებს ვატყობ, რომ ადამიანის სიცოცხლის გასახანგრძლივებელი წამალი არა მოგიგონიათ-რაო“.—„თქვენი ხელი-კიო,—უპასუხა ახლა თავისის მხრივ კალიოსტრომ და ხელი ჩამოართვა:—მაჩვენებს, რომ თქვენ ძალ-დატანებულის სიკვდილით უნდა გამოესალმოთ ამ წუთი-სოფელსაო“. ორივე გამოჩენილის კაცის სიტყვა გამართლდა. როცა ციურიხი მასსენამ დაიპყრო, ლავატერი თოფით დასჭრეს ჯარის-კაცებმა.

— უკვე საზოგადოდ მიღებული აზრია, რომ ამერიკა წარმოსდგა ამერიკო ვესპუჩჩიოს სახელიდგან, რომელმაც კოლუმბის მიერ აღმოჩენილის ქვეყნის დაწვრილებული ცნობები შეიტყო. ხოლო ეხლა ჟიულ მარკუ, გამოჩენილი გეოლოგი და ამერიკის მცოდნე, ამბობს, რომ ტუზილის, სიტყვა „ამერიკა“ ინდოურია და იმათს ენაზედ ჰნიშნავს: 1) მთა-გრეხილს, რომელშიაც, კოლუმბის მოგზაურობის შემდეგ, დიდ-ძალი ოქრო აღმოჩნდა, და 2) ტომის ინდოელთა—ამერიკელთა. მეორის მხრივ ვესპუჩჩიოს სახელი ალბერტი იყო Albericus, Alberico და ეს სიტყვა შეიცვალა Americo-დ, ან Amerigo-დ სწორედ მას შემდეგ, როცა გაწონიკოსმა სენ-დიესამ გამოსცა ტრაქტატი, რომელშიაც შეცდომით ამბობდა, რომ ამერიკას ამერიკა ვესპუჩჩიომ თავის სახელის მოსაგონებლად დაარქვაო. ეს გარემოება შემდეგ უფრო გადარია ყან ბაზენმა, რომელმაც, რაკი გაიგო, რომ ოქროთი მდიდარს ქვეყანას ამერიკას უწოდებენო, თავისს კალენდარში ახალი წმინდანი ჩაურთო Americus, ანუ Amerigo, სახელი, რომელიც თავისს დღეში არავისა რქმევია და მოგონილი იყო, რათა ინდოური სიტყვა ამერიკა სახელ ალბერტთან შეეერთებინათ როგორმე.

# დეპეშა

4 ივლისი

**კრონშტადტი.** ნაშუადღევის ოთხს საათსა და ნახევარზე მოვიდა იმპერატორის იახტა „ცარევნა“. იახტაზე ხელმწიფე იმპერატორის ბაირაღი ამართული. ფლოტი ზარბაზნის სროლით მიეგება. იახტამ გაიარა კრონშტადტის მახლობლად და წავიდა პეტერგოფში. ღამით და დღეს დილით მოვიდა კრონშტადში ყველა გემი ფლოტისა, ეს გემები უნდა მიეგებნენ გერმანიის იმპერატორის ესკადრას. ჩვენი ფლოტი გაჩერდა რეიდებზე იმ წესით, რა წესიც გენერალ-ადმირალმა გამოსცა.

**ვენა.** დედოფალი ნატალია დღეს წავა პარიჟში, სადაც დარჩება თავისს საქმის დასრულებამდე. შესაძლოა, რომ დედოფალმა დრომდე გადასდოს პარიჟში წასვლა.

გუშინ დედოფალი ნატალია და იმისი მამიდა კნეინა მურუზისა დაესწრნენ წირვაზე რუსის საელჩოს ეკკლესიაში. ეკკლესიაში 150 კაცამდე დამსწრე იყო, უმეტეს ნაწილად სამხრეთის სლავიანები. როდესაც დედოფალი ეკკლესიაში შევიდა, წინ მიეგება რუსეთის ელჩი თავადი ლობანოვ-როსტოვსკი, და როდესაც ეკკლესიიდგან გამოვიდა, ხალხმა დასძახა: „დედოფალს გაუმარჯოსო!“ ნაშუადღევს დედოფალმა მიიღო თავადი ლობანოვ-როსტოვსკი.

ერთი აქაური გაზეთი იცნობება, რომ პრინც კობურგის მდგომარეობა ბოლგარიაში ძალიან საშიშიაო. პოპოვის საქმე მმართებლობას კრიზისს უქადის; თითქმის ხმა მაღლა ამბობენ, რომ ან პრინცი კობურგისა და ან სტამბულოვიო.

7 ივლისი

**პეტერბურგი.** «Journal de St.-Pétersbourg»-ი გვაუწყებს, რომ გერმანიის იმპერატორს მოელიან პეტერგოფში 7 ივლისს, ნაშუადღევის 3-ს საათზე. გერმანიის იმპერატორის მოსვლა დიდის ზრდილობის და პატივისცემის ნაყოფია და იგი განამტკიცებს დიდის ხნის ნათესაობას ერის სამეფო გვარისას და ერთა სახელმწიფოთა შორის დაამკვიდრებს მეგობრულს განწყობილებასა და ნდობას. ეს ძლიერი საბუთია მშვიდობიანობისა; უცხოეთის და რუსეთის მწერლობის აზრის მიუხედავათ ჩვენ ჩვენს თავს ნებას მივცემთ და ვიტყვით, რომ ეს ამბავი აშკარა საბუთია მშვიდობიანის პოლიტიკისა, რომელსაც ერთნაირის გულ-მოდგინებით ემსახურება ორივე სახელმწიფო.

პეტერბურგის ბირჟა, 1 ივლისი

| | მყიდველნი (მან. კ.) | გამყიდველნი (მან. კ.) | გაყიდულია (მან. კ.) |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 8 43 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | 168 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | 1 33 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი | — „ | — „ | $271^1/_2$ |
| —მეორისა | — „ | — „ | $251^3/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

მკათათვე 31 დღით არის.

**6 დღე ოთხშაბათი.** ღირსისა სისოსი. კათოლ. დომინიკისა. მუსულ. მე-9 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ქეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—40, ჩადის 7—32. მთვარე 10 დღისაა.

**7 დღე ხუთშაბათი.** ღირსისა თომასი და აკაკისა. კათოლ. წმ. აპოლონისა. მუსულ. მე-10 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ქეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—41, ჩადის 7—31. მთვარე 11 დღისაა.

**8 დღე პარასკევი.** წამება პროკოფისა. კათოლ. წმ. ქვრივის დედოფ. ელისაბედისა. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. მე-11 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ქეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—42, ჩადის 7—30. მთვარე 12 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივლისიდამ 1 აგვისტომდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | 3 | „ |
| „ 2 „ | $2^1/_2$ | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2 – | $3^1/_2$ | „ |
| „ „ 3 „ | 3 | „ |
| ჭვავის მამის პურის ლავაში | | „ |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | |
| მე-2 ხარისხისა | 4 | |
| მე-3 — | „ | „ |
| მროსის ხორცი | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა | 8 | „ |
| ღორის ხორცი | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს კვირაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, ბანკის ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|
| | დილით | | | |
| ტფილისი | — | — | 8 | 49 |
| ავჭალა | 9 | 9 | 9 | 11 |
| მცხეთა | 9 | 32 | 9 | 40 |
| ქსანი | 10 | 03 | 10 | 05 |
| კასპი | 10 | 33 | 10 | 36 |
| გრაკალი | 0 | 59 | 11 | 1 |
| გორი | 11 | 25 | 11 | 40 |
| ქარელი | 12 | 08 | 12 | 11 |
| გომი | 12 | 37 | 12 | 41 |
| ხაშური | 11 | 02 | 1 | 17 |
| სურამი | 1 | 29 | 1 | 32 |
| ფონი | 2 | — | 2 | 03 |
| ბეჟათუბანი | 2 | 56 | 3 | 16 |
| მარელისი | 3 | 45 | 3 | 48 |
| ბელაგორი | 4 | 15 | 4 | 18 |
| ძირულა | 4 | 45 | 4 | 48 |
| ყვირილა | 5 | 26 | 5 | 40 |
| აჯამეთი | 6 | 14 | 6 | 16 |
| | სალამოთი | | | |
| რიონი | 6 | 29 | 6 | 44 |
| კოპიტნარი | 7 | 08 | 7 | 10 |
| სამტრედია | 7 | 29 | 7 | 49 |
| საჯავახო | 8 | 05 | 8 | 07 |
| ნიგოითი | 8 | 27 | 8 | 30 |
| ლანჩხუთი | 8 | 42 | 8 | 46 |
| სუფსა | 9 | 19 | 9 | 27 |
| ნატანები | 9 | 52 | 9 | 55 |
| ქობულეთი | 10 | 22 | 10 | 25 |
| ბათუმი | 11 | 13 | — | — |

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|
| | დილით | | | |
| ბათუმი | — | — | 8 | 4 |
| ქობულეთი | 8 | 54 | 8 | 57 |
| ნატანები | 9 | 25 | 9 | 29 |
| სუფსა | 9 | 55 | 10 | 2 |
| ლანჩხუთი | 10 | 35 | 10 | 39 |
| ნიგოითი | 10 | 51 | 10 | 53 |
| საჯავახო | 11 | 14 | 11 | 16 |
| სამტრედია | 11 | 33 | 11 | 51 |
| კოპიტნარი | 12 | 13 | 12 | 16 |
| რიონი | 12 | 47 | 1 | 2 |
| აჯამეთი | 1 | 15 | 1 | 18 |
| ყვირილა | 1 | 58 | 2 | 10 |
| ძირულა | 2 | 48 | 2 | 50 |
| ბელაგორი | 3 | 17 | 3 | 20 |
| მარელისი | 3 | 47 | 3 | 49 |
| ბეჟათუბანი | 4 | 18 | 4 | 37 |
| ფონი | 5 | 30 | 5 | 34 |
| | სალამოთი | | | |
| სურამი | 6 | 2 | 6 | 5 |
| ხაშური | 6 | 17 | 6 | 32 |
| გომი | 6 | 50 | 6 | 54 |
| ქარელი | 7 | 16 | 7 | 19 |
| გორი | 7 | 44 | 7 | 54 |
| გრაკალი | 8 | 15 | 8 | 17 |
| კასპი | 8 | 40 | 8 | 43 |
| ქსანი | 9 | 7 | 9 | 9 |
| მცხეთა | 9 | 28 | 9 | 34 |
| ავჭალა | 9 | 52 | 9 | 54 |
| ტფილისი | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათზედ და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევის 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|
| | დილისით | | | |
| ტფილისი | — | — | 3 | 21 |
| ავჭალა | 3 | 46 | 3 | 49 |
| მცხეთა | 4 | 19 | 4 | 25 |
| ქსანი | 4 | 49 | 4 | 52 |
| კასპი | 5 | 24 | 5 | 29 |
| გრაკალი | 6 | — | 6 | 3 |
| | სალამოთი | | | |
| გორი | 6 | 31 | 6 | 45 |
| ქარელი | 7 | 18 | 7 | 24 |
| გომი | 7 | 53 | 8 | 1 |
| ხაშური | 8 | 54 | 8 | 38 |
| სურამი | 8 | 50 | — | — |

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|
| | ღამით | | | |
| სურამი | — | — | 2 | 59 |
| ხაშური | 3 | 11 | 3 | 27 |
| გომი | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქარელი | 4 | 24 | 4 | 31 |
| გორი | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი | 5 | 46 | 5 | 51 |
| | დილით | | | |
| კასპი | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქსანი | 6 | 55 | 6 | 59 |
| მცხეთა | 7 | 24 | 7 | 32 |
| ავჭალა | 7 | 55 | 7 | 58 |
| ტფილისი | 8 | 24 | — | — |


# განცხადებანი

ვეძებ ფრანგულის ენის

**გაკვეთილებს.**

მსურველებს შეუძლიანთ ამბავი შეიტყონ ჩიმიშკიანის შენობაში, პირველის ნავთობის ქუჩის ბოლოს. პეტრე მირიანიშვილი

(10—1)

ნაფიცი ვექილი

**ა. მ. ჭყონია**

გადავიდა სადგომად ნიკოლოზის ქუჩაზე, № 72.

(3—2)

**წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების**

**წიგნთ-საწყობში**

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნების რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულ, ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან | „ | 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ | „ | 15 |
| სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა | » | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. | 1 | 50 |
| II ნაწ. | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ | „ | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა | „ | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. | 3 | „ |
| სამართლის წიგნი კანტანგ რეჯულ-მდებელისა (რუსულს ენაზე) | 3 | 50 |
| ვაზის ობი | „ | 10 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა | „ | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა | „ | 15 |
| გულივერის მოგზაურობა | „ | 50 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა | „ | 30 |
| სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან | „ | 5 |
| მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ღამბაშიძისა | „ | 5 |
| გაენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა | „ | 25 |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა | „ | 25 |
| საუკეთესო ცოლები, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ე. ზ. ჭეშხაძისა | „ | 20 |
| ოტელლო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ | „ | 50 |


Доз. ценз. Тифлисъ, 5-го Іюля 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე